ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N10

25 დეკემბერი, 2025 წელი.

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 12:20 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:20 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
რამაზ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;

ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.12.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
8	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაში წარმოდგენილი იყო წინადადებები და შენიშვნები, რომელიც კომისიამ 2025 წლის 25 ნოემბრის N7 სხდომაზე განიხილა (დასკვნის ნომერი: დ95.95253291; თარიღი:25/11/2025).

შენიშვნები გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში (განცხადების ნომერი:95-95243301; განცხადების თარიღი:25.11.2024) გასათვალისწინებლად. საკრებულოში ცვლილებების გათვალისწინებით შემოვიდა (განცხადების ნომერი:12-95253446-95; განცხადების თარიღი: 10.12.2025 წელი) ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განახლებული პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განახლებული პროექტი და გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებული წინადადებები და შენიშვნები.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტზე კომისიის წევრებს შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი:1 (ჯამბულ შარაბიძე)

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს 2025 წლის 10 დეკემბერს (განცხადების ნომერი:12-95253446-95; განცხადების თარიღი: 10.12.2025 წელი) ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:20 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიებთან და საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილების უფროსი ციური ზაქარაძე